SezRuduli pasuxismgeblobis
sazogadoeba
“taqsacia”

Limited Liability Company
“Taxation”

საქართველო, ქ. თბილისი,დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,ვ.ბაგრატიონის ქ., N 52, ს/კ: 402038200

TEL:558235350

29.12.2019

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N34.

საკადასტრო კოდი: 01.14.05.009.080.

დამკვეთი: შპს „ნაფეტვრები". ს/კ 405331154.

ხე–მცენარეების აღრიცხვის უწყისი

დანართი-1

ხის N	სახეობა	გარშემო–წერილობა 10 სმ–ზე	დიამეტრი 10–სმ ზე სმ	დიამეტრი 130–სმ ზე სმ	შენიშვნა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	თელა ჩვ		29.1		საღი	საღი
2	თელა ჩვ		6.3		საღი	შესამ გადარგვა
3	თელა ჩვ		11.5		საღი	შესამ გადარგვა
4	თელა ჩვ		7.3		საღი	შესამ გადარგვა
5	თელა ჩვ		9.9		საღი	შესამ გადარგვა
6	აკაცია		5.4		საღი	შესამ გადარგვა
7	თელა ჩვ		9.8		საღი	შესამ გადარგვა
8	თელა ჩვ		21.4		საღი	შესამ გადარგვა
9	თელა ჩვ		10.1		საღი	შესამ გადარგვა
10	თელა ჩვ		4.2		საღი	შესამ გადარგვა
11	იფანი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
12	თელა ჩვ		4.7		საღი	შესამ გადარგვა
13	იფანი		3.3		საღი	შესამ გადარგვა
14	თელა ჩვ		3.5		საღი	შესამ გადარგვა
15	თელა ჩვ		5.1		საღი	შესამ გადარგვა
16	თელა ჩვ		9.7		საღი	შესამ გადარგვა
17	ძეძვი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
18	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
19	თელა ჩვ		4.1		საღი	შესამ გადარგვა
20	ვაშლი		10.2		საღი	ხილ-კენკროვანი
21	თელა ჩვ		11.3		საღი	შესამ გადარგვა
22	ჭერამი		9.6		საღი	ხილ-კენკროვანი
23	ძეძვი		3.5		საღი	შესამ გადარგვა
24	ძეძვი		3.8		საღი	შესამ გადარგვა
25	ძეძვი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
26	თელა ჩვ		4.7		საღი	შესამ გადარგვა
27	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა

28	ძეძვი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
29	ასკილი		5.1		საღი	შესამ გადარგვა
30	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
31	ძეძვი		4.4		საღი	შესამ გადარგვა
32	თელა ჩვ		5.6		საღი	შესამ გადარგვა
33	ასკილი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
34	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
35	ძეძვი		3.4		საღი	შესამ გადარგვა
36	ძეძვი		4.1		საღი	შესამ გადარგვა
37	ძეძვი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
38	ასკილი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
39	ნეკერჩხალი ამერ		6.3		საღი	შესამ გადარგვა
40	ნეკერჩხალი ამერ		7.4		საღი	შესამ გადარგვა
41	ძეძვი		5.2		საღი	შესამ გადარგვა
42	ძეძვი		4.5		საღი	შესამ გადარგვა
43	ძეძვი		4.7		საღი	შესამ გადარგვა
44	ძეძვი		4.9		საღი	შესამ გადარგვა
45	თელა ჩვ		23.6		საღი	შესამ გადარგვა
46	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
47	ძეძვი		3.3		საღი	შესამ გადარგვა
48	ტუია		3.5		საღი	შესამ გადარგვა
49	ტუია		3.6		საღი	შესამ გადარგვა
50	ტუია		3.7		საღი	შესამ გადარგვა
51	ფიჭვი შავი		4.1		საღი	შესამ გადარგვა
52	ჭერამი		3.3		საღი	ხილ-კენკროვანი
53	კვიპაროზი ჰორიზ		3.2		საღი	შესამ გადარგვა
54	ტუია		3.6		საღი	შესამ გადარგვა
55	ვარდი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
56	კვიპაროზი ჰორიზ		3.8		საღი	შესამ გადარგვა
57	ტუია		3.2		საღი	შესამ გადარგვა

სულ ტერიტორიაზე აღირიცხა 57 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის: აკაცია-1, ასკილი-3, ვარდი-1, ვაშლი-1, თელა ჩვ-18, იფანი-2, კვიპაროზი ჰორიზონტალური-2, ნეკერჩხალი ამერიკული-2, ტუია-5, ფიჭვი შავი-1, ძეძვი-19 და ჭერამი-2 ერთეული.

ტერიტორიის მესაკუთრის განცხადებით, სამშენებლო არეალში მოყოლილია მხოლოდ 30 ერთეული (N 1 თელა ჩვ, 2 თელა ჩვ, 3 თელა ჩვ, 6 აკაცია, 8 თელა ჩვ, 9 თელა ჩვ, 10 თელა ჩვ, 12თელა ჩვ, 13 იფანი, 16 თელა ჩვ, 19 თელა ჩვ, 20 ვაშლი, 21 თელა ჩვ, 22 ჭერამი, 24 ძეძვი, 25 ძეძვი, 27 ძეძვი, 29 ასკილი, 30 ძეძვი, 39 ნეკერჩხალი ამერ, 40 ნეკერჩხალი ამერ, 49 ტუია, 50 ტუია, 51 ფიჭვი შავი, 52 ჭერამი, 53კვიპაროზი ჰორიზ, 54 ტუია, 55 ვარდი, 56 კვიპაროზი ჰორიზ, 57 ტუია) ხე-მცენარე, საიდანაც 3 ერთეული (N 20 ვაშლი, 22 ჭერამი, 52 ჭერამი) ხილ-კენკროვანია და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ჭრის ან გადარგვის ნებართვას არ საჭიროებს.

ხოლო 26 ერთეული (N 2 თელა ჩვ, 3 თელა ჩვ, 6 აკაცია, 8 თელა ჩვ, 9 თელა ჩვ, 10 თელა ჩვ, 12თელა ჩვ, 13 იფანი, 16 თელა ჩვ, 19 თელა ჩვ, 21 თელა ჩვ, 24 ძეძვი, 25 ძეძვი, 27 ძეძვი, 29 ასკილი, 30 ძეძვი, 39 ნეკერჩხალი ამერ, 40 ნეკერჩხალი ამერ, 49 ტუია, 50 ტუია, 51 ფიჭვი შავი, 53კვიპაროზი ჰორიზ, 54 ტუია, 55 ვარდი, 56 კვიპაროზი ჰორიზ, 57 ტუია) არის 25 სმ-მდე დიამეტრის და შესაძლებელია გადაირგოს სხვა ალტერნატიულ ადგილზე,

აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, კერძოდ წინასწარ ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ გამზადებულ ორმოში, გაუკეთდეს სარწყავი ჯამი და მოირწყას რეგულარულად. ვინაიდან მცენარეების დიამეტრები არის მცირე და მცენარეები არიან ახალგაზრდები მათი გადარჩენის შანსი საკმაოდ დიდია.

1 ერთეული ხე-მცენარე (№ 1 თელა ჩვ) არის 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის და ხე-მცენარის დიამეტრის და ხის სიდიდან გამომდინარე, გადარგვა უნდა განხორციელდეს შემდეგი მეთოდოლოგიით:

1-ხე-მცენარის გადარგვის პერიოდი:

გადარგვა ხდება იმ პერიოდში, როდესაც მცენარე მოსვენების ფაზაშია (არასავეგეტაციო პერიოდი), მცენარის მოსვენების პერიოდი იწყება შემოდგომაზე, ჩვეულებრივ ფოთოლცვენის დროს (სექტემბერი-ოქტომბერი) და მთავრდება გაზაფხულზე (თებერვალი-მარტი). ეს არის ფიზიოლოგიური პროცესი, როდესაც მცენარეში წვენის მოძრაობა ჩერდება. წიწვოვნები, დახურული ფესვთა სისტემით, შეიძლება გადაირგოს მთელი წლის განმავლობაში, გარდა ზამთრისა (მიზანშეწონილია გადარგვა განხორციელდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში).

2-ამოღება

ხე-მცენარეების დასარგავ ფართობამდე გადასატანად თავდაპირველად მათი ამოღებაა საჭირო. ამ პროცესის დასაწყისში ტოტები თავისუფლად (მოსვენებულად) უნდა შეიკრას. დიდტანოვენი ხე-მცენარეების შემთხვევაში ხდება ვარჯის გადაბელვა-ფორმირება. კომის სიდიდე განისაზღვრება ხის დიამეტრის დაახლოებით ათმაგი ოდენობით, (მაგ: D=30 სმ. კომის დიამეტრი =30 სმ * 10 = 300 სმ.). ხე-მცენარის კომის გარშემო, თხრილი ისე უნდა გავთხაროთ, რომ ის კომის დიამეტრს 1 მეტრით აღემატებოდეს. კომი მანამდე უნდა მოვთხაროთ, სანამ მისი ძირი არ მოიჭრება (სიღრმე დაახლოებით 2 მ) კომის გარეთ დარჩენილი ფესვები დიდი სიფრთხილით უნდა შევჭრათ, მას შემდეგ რაც კომი ნაწილობრივ გაშიშვლდება, უნდა მოხდეს ჯვალოს ნაჭერში შეფუთვა. დიდტანოვანი ხე-მცენარის შემთხვევაში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ჰორიზონტალური ბურღვა სპეციალური ტექნიკის საშუალებით, რომლის შედეგადაც ხდება კომის ქვედა ძირის მყარ პლატფორმაზე ფიქსირება, ასევე პლატფორმის გარშემო, კომის გვერდითი კედლების ნაჭრით ამ ფიცრის მარტივი კონსტრუქციის, მკვრივი შეფუთვის უზრუნველყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ კომის დაშლა და ფესვთა სისტემის დაზიანება. ეს პროცესი კომის ძირიდან უნდა დაიწყოს და ფესვის ყელამდე შეიფუთოს. ხე-მცენარის უსაფრთხოდ გადასატანად სანდოდ უნდა მიემაგროს სატრანსპორტო საშუალებაზე, რათა არ მოხდეს მისი მექანიკური დაზიანება.

3 ხე-მცენარის დარგვა.

არ არის მიზანშეწონილი ხე-მცენარის დიდი ხნით ღია ფესვებით გაჩერება, შეძლებისდაგვარად დროულად უნდა მოთავსდეს წინასწარ მომზადებულ ორმოში, რათა არ მოხდეს ფესვების გამოშრობა და დაზიანება. ხე-მცენარის ორმოში მოთავსების დარჩენილი სიცარიელე საგულდაგულოდ უნდა ამოივსოს ნიადაგით, კარგად მიიტკეპნოს და მოირწყას, რის შედეგადაც ხდება ჟანგბადის გამოდევნა ნიადაგიდან და ფესვთა სისტემის უშუალო, მჭიდრო კავშირი ნიადაგთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს სპეციალური მძიმე ტექნიკის საშუალებით, კერძოდ: ამწეკრანი-არანაკლებ 15 ტონიანი

ტვირთამწეობით, იგივე ტვირთამწეობის ექსკავატორით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილით.

გადარგვის შემდგომ აუცილებელია მოხდეს ხე-მცენარის არანაკლებ სამი მხრიდან დაფიქსირება მკვრივი თოკით, რომელიც ერთის მხრივ მიმაგრებულია ხე-მცენარის ღეროზე 4-5 მეტრის სიმაღლეზე, ხოლომ მეორეს მხრივ მიწაში არანაკლებ 1 მეტრის სიღრმეზე ჩარჭობილი მეტალის ან ხის ბოძებზე, რომელიც დაახლოებით 45 გრადუსი კუთხით უნდა იყოს დახრილი და საიმედოდ მიმაგრებული, ადგილი სადაც ხდება თოკსა და ხე-მცენარის შორის კონტაქტი უნდა იყოს ჯვალოს მკვრივი ნაჭრით შემოხვეული მცენარის ღეროზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ქარის დროს რყევის შედეგად ხე-მცენარის ღეროს მექანიკური დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მავნებლის ან დაავადების კერის შექმნა და დროთა განმავლობაში ხე-მცენარის ხმობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდგომ მიზანშეწონილია ხე-მცენარის სასუქით და სხვა მკვებავი საშუალებებით დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს გადარგვის შემდგომი სტრესის დაძლევას და ხე-მცენარის მოძლიერებას.

გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ტექნიკის და სათანადო გამოცდილების პერსონალის მეშვეობით, აუცილებლად სატყეოს დარგის სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ, ზემოთ ჩამოთვლილი აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

აქვე გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე აღრიცხული ხე-მცენარეები არიან საღ მდგომარეობაში.

ხოლო დანარჩენი ხე-მცენარეები არ შედიან სამშენებლო არეალში.

შემსრულებელი: ს. ფიცხელაური. მეტყევე-ინჟინერი, ექსპერტი.

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N34, ს/კ: 01.14.05.009.080













ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N34, ს/კ: 01.14.05.009.080















პირობითი აღნიშვნები

მიწის ნაკვეთის საზღვრები	500 სიმაღლის ნიშნული
შენობა	ფოთლოვანი ხე
	წიწვოვანი ხე
	პალმა
	კპაარისი
	ბაზონი
	ბუჩქი
	ეკლიანი ბუჩქი
	ვენახი
	ჭის ლუქი
	ძეგლი
	ელ. ბოძი
	გაზის მილი
	ბრუნტის გზა

456000
4678900
UTM sistemis koordinatebi

ტოპოგეგმა		
მისამართი:	ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 34	
დამკვეთი:	შპს ნაფტვრები	
განყოფილების უფროსი		რ. აბესოვი
აზომა		ა. დამაცალაშვილი
დახაზა		რ. აბესოვი
მ: 1:500	ფართობი 900 კვ.მ.	18.12.2019

გენგეგმა



A
B
C
D
573.01
571.66
570.81
570.40
569.15
570.90
568.21
567.67
570.40
566.87
7.21
566.66
566.27
565.53
565.88
566.04
565.64
566.67
565.37
564.32
565.15
564.80
564.84
563.45
563.40
565.44
540
590
630
180
384
67
279
129
269
660
270
87
79
4618475.0
476500.0
461

მომსახურების ხელშეკრულება

ქ.თბილისი **2020 წლის**
13 იანვარი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია 2020 წლის 13 იანვარს, შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს ,, ნაფეტვრები"** (საიდენტიფიკაციო კოდი: 405331154) (შემდგომში დამკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ ხმალაძის** (პირადი # 01013000351) მიერ

და

მეორე მხრივ, **შპს "ტასჰაბი"** (ს.ნ 406265410), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სერგო გიორგაიას** (პირადი #37001058879) მიერ (შემდგომში "შემსრულებელი"),

ხელშეკრულებამი დამკვეთი და მემსრულებელი ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე – როგორც "მხარე".

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ხე- მცენარეების მოჭრისა და გადარგვის შესახებ გაცემული ნებართვის შესაბამისად უზრუნველყოს დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე- ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N 34 (ს/კ: 01.14.05.009.080) უფლებამოსული პირის მიერ შემუშავებული მწვანე ნარგავების სახეობრივი, ხარისხობრივი შეფასების შესახებ და გადარგვის მეთოდოლოგიის შესახებ დასკვნის შესაბამისად, შემდეგი სამუშაოების განხორციელება (შემდგომში ,,სამუშაო").
1.1.1 იმავე საკადასტრო კოდზე, შემსრულებლის ტექნიკით, გადარგოს ობიექტზე არსებული და მერიის მიერ განსაზღვრული ხე მცენარეები:
1.2 მხარეთა შორის სამუშაოს შესრულება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1 ხარისხიანად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.1.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოთა წარმოება ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ.

2.1.3. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია ნაწარმოები სამუშაოს შესახებ:

2.1.4 შემსრულებელი ვალდებულია ტერიტორიაზე სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით;

2.1.5 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შემთხვევაში გამოასწოროს იგი საკუთარი სახსრებით.

2.1.6 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოთა წარმოება დაასრულოს დაწყებიდან მაქსიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.შემსრულებელი უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ანაზღაურება;

2.2.2 მოითხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტაცია ხეების გადარგვაზე თანხმობის შესახებ;

2.2.3 მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ობიექტის და მასზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ, წინასწარ სამუშაოთა დაწყებამდე.

2.3 დამკვეთი ვალდებულია

2.3.1 აწარმოოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

2.3.2. შემსრულებელს გაუგზავნოს შეტყობინება სამუშაოების დაწყების შესახებ სამუშაოთა დაწყების თარიღამდე ერთი კვირით ადრე;

2.3.3. შემსრულებელს სამუშაოთა დაწყებამდე მიაწოდოს დოკუმენტაცია ხე-მცენარეების მოჭრისა და გადარგვის ნებართვის შესახებ;

2.3.4. უზრუნველყოს ტერიტორიაზე შესასვლელ გზაზე შესაბამისი უსაფრთხოების და მოძრაობის წესების დაცვისათვის განკუთვნილი დოკუმენტაციის მომზადება (ნებართვების აღება, საგზაო ნიშნების დამონტაჟება და სხვა) საჭიროების შემთხვევაში;

2.4 დამკვეთი უფლებამოსილია:

2.4.1 მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოს ნაწილ-ნაწილ შესრულება, მაგრამ არაუმეტეს სამუშაოს 2(ორ) ნაწილად შესრულებისა.

2.4.2 შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა ნებისმიერ დროს და მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, ხოლო ნაკლის შემთხვევაში მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.

მუხლი 3. სამუშაოს ღირებულება

4.1. სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება 10 500 (ათი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე). (შემდგომში ანაზღაურება)

4.2 ანგარიშსწორება წარმოებს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოხდება ანაზღაურების 50%-ის გადახდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდა მოხდება სამუშაოს სრულად დასრულების შესახებ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელებდა უნაღდო ანგარიშწორების გზით, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, შემსრულებლის შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: მიმღების ანგარიში: **GE06TB7956036080100007.**

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2. დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში მას შემსრულებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ანაზღაურების 0.1% ის ოდენობით.

4.3. შემსრულებლის მიერ სამუშაოს ვადების გადაცილების შემთხვევაში მას დამკვეთის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ანაზღაურების 0.1% ის ოდენობით.

4.4 შემსრულებლის მიერ გადარგვის პროცესში ხე-მცენარეების დაზიანების შემთხვევაში ან/და ტერიტორიაზე დარგული ან შენარჩუნებული ხეების დაზინების შემთხვევაში, იგი ვალდებული იქნება დაზიანებული ხე-მცენარის გახმობის შემთხვევაში ახალი ნარგავით ჩაანაცვლოს გამხმარი მცენარე, ხოლო მერიის უფლებამოსილი სამსახურის მიერ ჯარიმის აქტის გამოცემის შემთხვევაში ჯარიმის თანხა სრულად დაეკისრება შემსრულებელს.

4.5. შემსრულებლის მიერ უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ ქმედებას დაჟინებით მოითხოვს დამკვეთი.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, იმ შემთხვევაში , თუ ეს გამოწვეული იყო რაიმე გადაულახავი მიზეზით. კერძოდ, ისეთით როგორიცაა: დივერსია, ეპიდემია, მეწყერი, მიწისძვრა ან მსგავსი სხვა ისეთი მოვლენები, რომელებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან ფორს-მაჟორული გარემოების მქონედ, მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული მოქმედების მთელი დროის მანძილზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

6.2 დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მხარეთა მიერ დადგენილ პირობებს.

6.3 შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ დამკვეთი 10 დღით გადააცილებს ანაზღაურების რომელიმე ნაწილის გადახდის ვალდებულებას;

6.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის სხვა საფუძვლები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში,მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8: დასკვნითი დებულებები:

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. ერთი ინახება დამკვეთთან, მეორე – შემსრულებელთან.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ყველა დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

8.3. ხელშკერულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატებას იურიდიული ძალა ექნება მხოლოდ იმ მემთხვევაში, თუ იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 8. მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი:

შემსრულებელი: